ქარხნის პარტორგანიზაცია სათავეში უნდა ჩაუდგეს კონკრეტულ მუშაობას თვითმცირებულების შემცირების ხაზით. მან უნდა მოაწყოს კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულების სისტემატიური შემოწმება. საჭირო იქნება რამდენჯერმე დაუბრუნდეთ ერთსა და იმავე საკითხს, სანამ არ მივაღწიოთ დამაკმაყოფილებელ შედეგებს. ამ შემთხვევაში სარემონტო ქარხნის პარტორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს წარსული გაკვეთილები. წინად ამ ქარხანაში ორჯერ ჩატარდა პარტკონფერენცია პროდუქციის ხარისხის საკითხზე. მაგრამ ბრძოლა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის არ იდგა საჭირო დონეზე, რის გამოც ბევრი ღირსშესანიშნავი ღონისძიება განუხორციელებელი დარჩა.

გასულ წელს, სამაგალითო მუშაობისათვის ამხ. სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანამ მიიღო საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა. გასაგებია, რომ სტალინელები დიდი ენტუზიაზმით შეხვდენ ამ სასახელო ჯილდოს. ისინი დღემდე ინახავენ ბოლშევიკური გამარჯვების ამ სიმბოლოს.

და ახლა ისმება საკითხი:

— შეინარჩუნებენ თუ არა სტალინელები გარდამავალ წითელ დროშას?

ეს მართლაც რომ სერიოზული საკითხია: ტიხორეცკაიას სარემონტო ქარხნის მუშები იბრძვიან დაკარგული დროშის დასაბრუნებლად. და თუ სტალინელები ვერ შეასრულებენ დავალებას ხარისხობრივი მაჩვენებლების დარგში, კერძოდ, თვითმცირებულების შემცირების ხაზით, დროშის შენარჩუნების საკითხი საფრთხეში ჩადგება.

ბოლშევიკებმა უნდა გვიჩვენონ თვითმცირებულების შემცირებისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითი სტალინელებმა გარდამავალი წითელი დროშა უნდა შეინარჩუნონ.

ვიზრუნოთ ჩაის მწვანე ფოთლის აკრეფა-გადამუშავების მაღალი ტემპებისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად

ვინ როგორ ასრულებს ჩაის კრეფის გეგმას

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა მიმდინარეობდა ჩაის კრეფის საგარეზობლად გაუმჯობესებლად მიმდინარეობდა; კრეფას არ აწარმოებდენ დიფერენციალურად ჩაის ბუჩქების და ასაკის მიხედვით. ადგილი ჰქონდა ჩაის ბუჩქების მოუკრეფლად დატოვებას, რაც საფრთხეს უქმნიდა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებას და, ამას გარდა, ხელი ეშლებოდა ბუჩქის ნორმალური განვითარებას. ამ მიზეზების და კლიმატური პირობების გამო, ჩაის ბუჩქებზე შეჩნეული იქნა ყრუ (ტუჩი) ყლორტების მასობრივი გაჩენა. „საქართველოს ჩაის" და ტრაქტორცენტრის მიერ მიღებული გათვლების შედეგად ეს ნაკლი გამოსწორებულია და ჩაის კრეფა ამჟამად შედარებით უკეთ მიმდინარეობს.

გურიისა და ჩრდილოეთ-სამეგრელოს კოლმეურნეობებში, ოჩხამირის, ნარაზენის, ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობებში სეზონის დასაწყისში ადგილი ჰქონდა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმის შემცირებას. აღნიშნული მეურნეობები არ იცავდენ ჩაის კრეფის არსებულ წესებს და ამით გამოწვეული დაგვიანების შედეგად ჩაის ნორმალური განვითარება. ამ ნაკლის გამოსწორებას ხელი შეუწყო ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ტემპების კიდევ უფრო გაძლიერებამ, ხარისხის ამაღლება და მის საფუძველზე მწვანე ფოთლის კრეფის მთლიანად და დაზე შესრულება.

10 აგვისტოსათვის მოკრეფილი იქნა სულ 2.804.819 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის 75,3 პროც. შეადგენს.

აქედან ხალიბაურის ჩაის ფაბრიკის რაიონის შესრულებული აქვს წლიური გეგმის 69,1 პროც., ჩაქვისას—76,8 პროც.; ბობოყვათისას—84.8 პროც.; ხუცუბანისას—93.9 პროც.; ოზურგეთისას—83 პროც.; ნატანეზისას—64,9 პროც.; შრომისას—57 პროც.; მაღალი-ეწერისას—87,6 პროც.; აცანისას—68,8 პროც.; ნიგვზიანისას—89,5 პროც.; ჩოხატაურისას—77,1 პროც.; უშუბათის, ფოცხოს და დიდიჯვრისას—67 პრც.; ზუგდიდის რაიონს—58,5 პროც., ხოლო ბაღ... რაიონს—72,6 პროც.

ჩაის რაიონების ხელმძღვანელმა ორგანოებმა, განსაკუთრებით სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებმა, სწორი და კონკრეტული ხელმძღვანელობით უნდა უზრუნველყონ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ტემპების კიდევ უფრო გაძლიერება, ხარისხის ამაღლება და მის საფუძველზე მწვანე ფოთლის კრეფის მთლიანად და დაზე შესრულება.

ჯ.—ლი.

ჩამორჩენა დაკვრითი წესით უნდა გამოსწორდეს

(დიდი ჯვრის საბჭოთა მეურნეობა)

მარტვილის რაიონის კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის პლანტაციების მეორე და მესამე თოხნის ტემპები უკანასკნელი ხანს საგრძნობლად შენელდა, რაც საფრთხეში აყენებს ჩაის ნორმალური განვითარებას, მით უმეტეს, რომ მომდინარე წლის კლიმატური პირობები დიდად უწყობენ ხელს სარეველა ბალახების განვითარებას.

ჩაის პლანტაციების თოხნასა და გახელვაში სამარცხვინოდ ჩამორჩა დიდჯვრის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც 30 ივლისამდე შესრულებული ჰქონდა მეორეი გათოხნის გეგმის 70 პროცენტი, ხოლო მესამედ გათოხნა, რომელიც ივლისში უნდა და მთავრებულიყო, დღემდე არ დაუწყია.

აღნიშნული ჩამორჩენა გამოწვეულია უყოფილი დირექტორისა და პარტორგი უზრუნველყოფის მდივნის უხეირო ხელმძღვანელობით.

ამჟამად მეურნეობაში მუშაობს ახალი ხელმძღვანელობა, რომელიც ბოლშევიკური სიმტკიცით შეუდგა ჩამორჩენის გამოსწორებას.

უზრუნველვყოთ გადამუშავებული ჩაის უეუფერხებელი გაგზავნა

ჩაის ფაბრიკებმა საქართველოში უკანასკნელ ხანს საგრძნობლად შეანელეს მიმდინარე წლის მოსავლიდან გადამუშავებული ჩაის გაგზავნის ტემპები. ივლისისათვის დასახული გეგმა ამ დარგში შესრულებული არ არის. გაღის ფაბრიკას იელისში უნდა დაეტვირთა და გაეგზავნა 3 ვაგონი ჩაი. ფაბრიკამ დროზე არ მიიღო ზომები საჭირო მუშა-ხელის შესაგროვებლად, განსაკუთრებით ჩაის დახარისხებისათვის (თუმცა ამ საქმისთვის საჭირო იყო მუშა-ხელის მეტად მცირე რაოდენობა), ვერ მოაწესრიგა შრომა და ივლისის განმავლობაში მხოლოდ ერთი ვაგონი ჩაი დატვირთა და გაგზავნა. ამავე მიზეზით ჩამორჩა ოზურგეთის ჩაის ფაბრიკა, რომელმაც გეგმით გათვალისწინებული ოთხი ვაგონის ნაცვლად მხოლოდ ორი ვაგონი ჩაი გაგზავნა. აცანის ფაბრიკამ ივლისის გეგმა მთლიანად შეასრულა. შედარებით კარგად მუშაობს ჩაქვის ჩაის ფაბრიკა, რომელმაც ივლისის განმავლობაში დატვირთა და გაგზავნა 5 ვაგონი ჩაი (უნდა გაეგზავნა 6 ვაგონი).

გადამუშავებული ჩაის დატვირთვა-გაგზავნის გასაძლიერებლად საქართველოს ჩაის მიღებული აქვს პრაქტიკული ღონისძიებები: ჩაის ყველა ფაბრიკა უზრუნველყოფილია ტარა-მასალით (ფირფიტარი, ქაღალდი, თუნუქი). ფაბრიკებს ამ დღეებში გადაეზავნებათ 1000 კილოგრამამდე ლურსმანი, რაც სრულიად უზრუნველყოფს გადამუშავებული ჩაის შეფუთვას. ფაბრიკებში შემჩნეულია მუშა-ხელის დენადობა, რაც აფერხებს ფაბრიკების ნორმალურ მუშაობას. ამ ნაკლის გამოსასწორებლად საჭიროა ცეკავშირის საბჭოთა მეურნეობების სექციამ და ადგილობრივმა სამომხმარებლო საზოგადოებებმა გაიუმჯობესონ ჩაის მუშათა მომარაგება, რაც დღემდე არა დგას სათანადო სიმაღლეზე.

ნატანების კოლმეურნეობა. აგრო-მამასახლისი ბრიგადირებთან ერთად ამოწმებს მოკრეფილი ჩაის ხარისხს

აცანის ფაბრიკა იგრძვის ჩაის მაღალი ხარისხისათვის

(ლანჩხუთის რაიონი, სოფ. აცანა)

სოფ. აცანის ჩაის ფაბრიკამ მიმდინარე წელს უნდა დაამზადოს და გადაამუშაოს ჩაის მწვანე ფოთოლი სულ 250.000 კილოგრამის რაოდენობით. გეგმის მიხედვით ფაბრიკას მაისში უნდა დაემზადებია წლიური გეგმის 33 პროც., ივნისში 12 პროც., იელისში 23 პროცენტი, ხოლო აგვისტოში წლიური გეგმის 20 პროცენტი.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა აცანის აგროუბანში დაგეგმილებით დაიწყო, რის გამო ზაისის გეგმა მთლიანად ვერ იქნა შესრულებული, 75.000 კილოგრამის ნაცვლად დამზადდა მხოლოდ 60000 კილოგრამი (გეგმის 80 პროც.).

ჩამორჩენის გამოსასწორებლად ფაბრიკის სამკუთხედმა ცალკე სოფლებზე, კოლმეურნეობებზე და საკოლმეურნეო ბრიგადებზე მიამაგრა მუშათა ბრიგადები. რომლებიც პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ მათ ჩაის კრეფაში. მუშათა ბრიგადებში შეიმოწმეს ორმოცდე პლანტაციების მოვლის, დაცვის და ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ხარისხის, რასაც მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. მაგალითად, ივნისში ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა შესრულებული იქნა 102,6 პროც. (37.500 კილოგრამის ნაცვლად დამზადდა 39.000 კილოგრამი). იელისში დამზადდა სულ 66.200 კილოგრამი, ანუ გეგმის 106 პროცენტი. ანალოგიურ, ფაბრიკას 5 აგვისტომდე დამზადებული ჰქონდა სულ 169.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც უდრის წლიური გეგმის 67,3 პროც.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი სასაბაზოები წაკლულ ყურადღებას აქცევენ ჩაის მწვანე ფოთლის წესიერ კრეფას. ამ რამდენიმე დღის წინათ სოფ. ზემო-აცანის ესოვრებმა შალვა თოხაძემ, პრისენ ხუხუნაიამ, სოფ. აცანიდან შალვა ჩხაიძემ და სოფიჩკა ტაკიძემ, ჯარხნის ჩაიბარის ცუდი ხარისხის ჩაის ფოთოლი, მიუხედავად ამისა, აცანის ჩაის ფაბრიკამ ჩაის ფოთლის გადაშუშავებაში მიაღწია საგრძნობ წარმატებებს. მაგალითად, თუ გასულ წელს აცანის ჩაის ფაბრიკას მზანაწარმის ხარისხის მხრივ საქართველოს ჩაის ფაბრიკებს შორის მერვე ადგილი ეკავა, წელს უჩვრავეს მეორე ადგილი.

ვაჟო ჩხაიძე, შალვა ჭანტურიშვილი, გოგუცა ჩხაიძე, ჭაკანა ჩხაიძე, სიმონ პაჭკორი, ვეღია ქიტელაძე და ეუნია ჩხაიძე— ეს ფაბრიკის ის დამკვრელი მუშები, რომლებიც იძლევიან ხარისხისათვის ბრძოლის სანიმუშო მაგალითებს.

ფაბრიკა სამ ცალად მუშაობს. შემოღებულია შრომის სანარდო სისტემა. გაუპირობრეების ლიკვიდაციის მიზნით მანქანებზე მიპყრობილი არიან მუშები.

აცანის ჩაის ფაბრიკას ამ მიღწევებთან ერთად აქვს ნაკლიც. სუსტად არის დაყენებული მუშათა კვების საქმე, ამის გამო ადგილი აქვს მუშა-ხელის დენადობას. მოკლებად არ არის დატვირთული ყველა მანქანები. მაგალითად, როლერი (ჩაის სატყლეში მანქანა) № 6 ზედმეტებულია ელექტრო-ენერგიის უქონლობით. ახლად მიღებული როლერები ჯერ კიდევ არ არის დადგმული და სხვ.

ეს დეფექტები დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. აცანის ჩაის ფაბრიკამ უნდა აჩქარებლოს იმისთვის, რომ მისცეს პროლეტარულ სახელმწიფოს მეტი და კარგი ხარისხის ჩაი.

ტ. —ელი.

მოვამზადოთ ნაცუმცირესოგათა სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის

ნაციონალურ უმცირესობათა შორის პარტიამ და ხელისუფლებამ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი კულტურული ჩარიგის დაჩქარებას.

უმნიშვნელოვანესი ამ ღონისძიებე ბიდან არის საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღება ნაცუმცირესობათათვის. მუშაობა ამ მიმართულებით საქართველოში 1930 წლიდან დაიწყო; 1930 წელს 94 პროცენტით შესრულდა ნაცუმცირესობათა რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გეგმა, ხოლო 1931—32 სასწავლო წელს — 101 პროც. 1932—33 სასწავლო წლისათვის ამ რაიონებში დარჩა 16 ათასი ბავშვი, რომელთაც გეგმით უნდა გაეელოთ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ქსელი. სასწავლო წელი უკვე დამთავრდა, მაგრამ განსახორციელებელი დღესაც არ მოიპოვება სრული ცნობები ამ გეგმის შესრულების შესახებ. არსებული არასრული ცნობები კი ლაპარაკობენ, რომ საყოველთაო - სავალდებულო სწავლების გარეშე დარჩენილია საკმაო რაოდენობის ბავშვები, რომ ამ დარგში მომავალ სასწავლო წელსაც ბევრი რამაა გასაკეთებელი. საქმე იმაშია, რომ გასულ წელს დასახულ ღონისძიებებიდან შეუსრულებელია რამოდენიმე, რომელთა განხორციელება წარმოადგენს გადაჭრებელ ამოცანას. ასეთია მაგ.: სასკოლო მშენებლობის გაშლა, რაც გასულ წელს არ ჩატარდა სათანადო მასშტაბით და რამაც ნაწილობრივ ხელი შეუშალა სავალდებულო - საყოველთაო სწავლების წარმატებით გატარებას ნაცუმცირესობათა რაიონებში.

ამჟამად რუსეთის ფედერაციაში ნაცუმცირესობათა სკოლები მოთავსებულია 1164 შენობაში. აქედან მხოლოდ 342 შენობა წარმოადგენს განათლების ორგანოების საკუთრებას; ამასთან სკოლების შენობათა დიდი უმრავლესობა არაა შეხამებული სასწავლო პირობებთან. თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა სასკოლო შენობათა რემონტს, რის შედეგად მცირდება სასწავლო შენობების ფონდი. ამის გამო, მეორე საფეხურის სკოლების დიდ უმრავლესობაში შესამჩნევია შენობათა დიდი დატვირთვა იმ ზომამდე, რომ ხშირად დღეში 3—4 ცვლა მეცადინეობს.

სათანადო ტემპებით არ სწარმოებს სკოლის ახალი ბინების მშენებლობა. ამ მიზნით არაა გამოყენებული აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივა. უკანასკნელ ხანებში ბორჩალოს, ადიგენის და თორთომის რაიონებში იყო შემთხვევა, როცა ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით ააგეს სკოლის შენობა, მაგრამ ეს წარმოადგენს გამონაკლისს. ბევრ რაიონში არ სრულდება მთავრობის დირექტივა კულაკთა სახლების სკოლებისათვის გადაცემის შესახებ. ყველაფერი ეს ხელს უშლიდა საყოველთაო - სავალდებულო სწავლების გატარებას ნაცუმცირესობათა რაიონებში.

მოწყობილობითაც ნაცუმცირესობათა სკოლები მეტად ღარიბია. მთელ რიგ სკოლებში დღესაც არ აქვთ საკმარისი პარტები, დაფები და სხვა სასწავლო ნივთები. ამასთან, მეორე საფეხურის სკოლები არაა უზრუნველყოფილი **ფიზიკური და ქიმიური კაბინეტებით.**

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რაც ხელს უშლის სავალდებულო - საყოველთაო სწავლების გატარებას, ესაა — **მოსწავლეთა დენადობა,** რის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერჯერობით სუსტად მიმდინარეობს. ამ მოვლენას ხელს უწყობს უმთავრესად მოწაფეთა სუსტი მატერიალური მომსახურება და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მათი გამოყენების პრაქტიკის არსებობა.

ამასთან, ღარიბ მოწაფეთა ფონდში გამოყოფილი თანხები ჯერჯერობით მცირეა, ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ახლა უნდა ვიზრუნოთ არა მარტო იმაზე, რომ ფეხსაცმელებით, ტანსაცმელებით და სხვა სასწავლო ნივთებით დავაკმაყოფილოთ ღარიბი მოწაფეები, არამედ იმაზეც, რომ **მოვაგვაროთ და გავაუმჯობესოთ მათი კვება.** ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სკოლიდან ბავშვთა გასვლის შემთხვევების მინიმუმამდე შემცირებას და ამ მოვლენის მოსპობასაც კი, რაც საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს.

საჭიროა აგრეთვე გარკვეული გარდატეხა მოხდეს **სკოლების პოლიტექნიზაციის გატარებაში.** სკოლის პოლიტექნიზაციის მიზნით პირველი ნაბიჯი გადადგმულია თითქმის. ყველა რაიონში. ჩატარდა სკოლების მიმაგრება ფაბრიკა-ქარხნებსა და საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებზე. მაგრამ ამ დარგში დიდ დეფექტებსაც აქვს ადგილი: ასეთია: პოლიტექნიკურ მოწყობილობათა უქონლობა, ამ საქმეში საბჭოთა საზოგადოებრივობის სუსტად ჩაბმა, რაც განათლების განყოფილებათა უმოქმედობის შედეგია და სხვ. არის შემთხვევები, როდესაც ნაცუმცირესობათა სკოლებში პოლიტექნიზაციის გატარებელად გამოყოფილ თანხებს იყენებენ არადანიშნულებისამებრ. მაგ.: ტფილისის 26 კომუნარის სახ. რაიონს ამ მიზნით მიეცა 20 ათასი მანეთი. ეს თანხა პოლიტექნიზაციის ნაცვლად იქ მოახმარეს ხელფასს, რაც ყოველად დაუშვებელია. ამასთან, ბევრგან და განსაკუთრებით სოფლის სკოლებში, პოლიტექნიზაციის საკითხებში ვერ ერკვევიან, ან სუსტად ერკვევიან თვით პედაგოგები.

ნაცუმცირესობათა სკოლების უზრუნველყოფა პედაგოგთა ადგილობრივ კადრებით, წარმოადგენს ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას. ადრე 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების წინაშე გარკვეული დააყენა ეს ამოცანა. მისი ბოლომდე განხორციელების მიზნით ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. ნაცუმცირესობათა დიდი ნაწილის (თურქები, სომხები, რუსები, პოლონელები და გერმანელები) ბავშვები სკოლებში მეცადინეობენ მშობლიურ ენაზე. მაგრამ არის სკოლები, სადაც კადრების უყოლობის გამო მშობლიურ ენაზე მეცადინეობა მოუხერხებელი ხდება. მაგ.: იმ სკოლებში, სადაც ბავშვების მშობლიური ენა ბერძნული, ქიცაღნების მომხარებლების ბერძნულ ენაზე; იმ სკოლებში კი, სადაც მეცადინეობენ წარმოშობით **ბერძენი** ბავშვები, რომლებიც ლაპარაკობენ **თურქულად,** მეცადინეობა სწარმოებს **რუსულ** ენაზე, რომელსაც მოსწავლეები არ იცნობენ. ეს გარემოება დიდ უარყოფით გავლენას ახდენს მეცადინეობაზე, ამცირებს მოსწავლეთა ცოდნის დონეს.

ტფილისში, **ქურთი** ბავშვებისათვის გახსნილია 4 ოთხწლედი, სადაც მეცადინეობა დღემდე **რუსულ** ენაზე სწარმოებდა, მაშინ, როდესაც ქურთმა ბავშვებმა **არ იცოდნენ რუსული ენა.** განსაკომმა უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ასეთი დეფორმაცია არ გვეჭნეს, რომ ქურთულის მცოდნე ბავშვებს საშუალება ეძლეთ ინიციადიონ თავიანთ შობლიურ ენაზე.

ამ მიზნით საჭიროა **კადრების მომზადება მოსახლეობის იმ ფენებიდან რომელსაც ემსახურება ესათუ ის სკოლა.** ამ დარგში ჯერჯერობით ცოტა რამაა გაკეთებული. ოსებში ამჟამად მოქმედობს ნაცუმცირესობათა 13 ტექნიკუმი, აქედან ტფილისშია 3 (სომხური, თურქული და ინტერნაციონალური). დანარჩენი ტექნიკუმები მოქმედობენ რაიონებში (ახალციხის, ახალქალაქის, წალკის და სხვ.). მიმდინარე წლის გაზაფხულზე ამ ტექნიკუმებმა გამოუშვეს მომზადებული კადრები: სომეხი — 179, თურქი — 45 და რუსი — 31. ამ ტექნიკუმებიდან, რომელნიც ამზადებენ კადრებს ნაცუმცირესობათათვის, მეტად უყურადღებოდაა მიტოვებული **სარჩევის და წალკის** ტექნიკუმი. ამ უკანასკნელს არ ჰყავს პედაგოგთა საკმარისი კადრები და არ გააჩნია სასწავლო ნივთები და ინვენტარი. ამას გარდა, წალკის ტექნიკუმში მეცადინეობა სწარმოებს **რუსულ ენაზე, რომელიც გაუგებარია მოსწავლეთა დიდ ნაწილისათვის.**

ნაცუმცირესობათათვის კადრებს ამზადებენ აგრეთვე ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები. ასეთი კადრების მომზადების და მათი განაწილების დარგში ერთ ერთ სუსტ რგოლს წარმოადგენს **აღრიცხვა.** აღრიცხვის უქონლობის გამო, ხშირად უმაღლეს სკოლადამთავრებულნი არ ბრუნდებიან უკანვე ნაცუმცირესობათა რაიონებში, რითაც კიდევ უფრო ზოდიან კადრების დეფიციტს. საჭიროა აღრიცხვის მოგვარება და კურსების საშუალებით ახლანდელი კადრების კვალიფიკაციის გადაჭრით ამაღლება. ამ დარგში განსახკომმა ფართოდ უნდა გაშალოს მუშაობა, რომ უმოკლეს ვადაში მიაღწიოს სკოლების უზრუნველყოფას პედაგოგთა კადრებით ადგილობრივ მოსახლეობიდან.

ხშირად ცალკეული ფაქტები გარკვეულად მოუთითებენ ნაცუმცირესობათა მთელი რიგი სკოლების მუშაობის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე, იმ ცუდ პირობებზე, რომელშიაც ამ სკოლებს უხდებათ მუშაობა. ნაცუმცირესობათა სკოლებისათვის მუშაობის ნორმალური პირობების შექმნის მიზნით განსახკომს პრაქტიკულად ჯერჯერობით ცოტა რამ აქვს გაკეთებული. განსაკუთრებით **ეს ითქმის ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული დეფექტების გამოსწორებაზე,** რაც უმთავრესი და გადაუდებელი ამოცანაა.

ახლავე საჭიროა კონკრეტული ზომების მიღება, პრაქტიკულ ღონისძიებათა ნამდვილად გატარება, ამ საკითხის ირგვლივ საბჭოთა საზოგადოებრიობის მობილიზაცია, რომ უზრუნველვყოთ ნაცუმცირესობათა სკოლების მაღალ ხარისხოვნად მომზადება ახალი სასწავლო წლისათვის.

ვ. ნ.

საღ მიიღებენ მოქალაქეები პასპორტს*)

„ღ" სახელოსნის რაიონის მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველოს მესამე განყოფილება

პუნქტი № 27—კახეთის მოედანი № 1, მწვანეხეობის კლუბი. მომსახურება გაწევს კახეთის ქ. № 10, შიტების ქ. № 2—38-მდე, ღიღის აღმართის 1-დან 51-მდე. მეტეხის აღმართის 1-დან 20-მდე, ზურაბიშვილის ქ. 2—46-მდე, მეტეხის შესახვევს 1—59-დე, ჩუბინაშვილის ქ. 1—48-მდე, შანიძირის ქ. 2—48-მდე, ფიქრების ქ. 1—43-მდე. კოლონეიის ქ. 2—...-მდე, ალაზნის ქ. 2—30-მდე, ალაზნის შესახვევს 2—12-მდე, ეჩმიაძინის ქ. 1—41-მდე, არარატის ქ. 1—21-მდე. ნატახტარის ქ. 2—30-მდე, გალერნის ქ. 1—19-მდე, ხიდისთავის ქ. № 1—25-მდე, ხიდისთავის შესახვევს 1—9-მდე, იორის ქ. 2—28-მდე, კარაპულახის ქ. 1—5-მდე, ხაჩაბელის ქ. № 2—16-მდე, ავლაბრის ქ. 2—32-მდე ყველა ახლო მდებარე შესახვევებით.

პუნქტი № 28—კახეთის ქუჩა № 10, რაიონთათვის კლუბში. მომსახურებას გაუწევს კახეთის ქუჩის № 10-დან 60-დე, მღვდლის შესახვევს № 2-დან 16-მდე, სამოსარაბის—1-დან 21-დე, ჩარსკის—2-დან 12-მდე,, ალავერდის—2-დან 12-დე, ხახანაშვილის—1-დან 49-მდე, სამალარის—1-დან 37-დე, თელავის—2—40-მდე, გურნების —1-დან 49-დე, სალიანის—2-დან 40-დე, ეტაპის—2-დან 30-დე, ფოსტის—2-დან 30-მდე ყველა მდებარე შესახვევებით.

პუნქტი № 29—კახეთის ქ. № 53, მე-63 საფ.-სამკერნო შვიდწლედის შენობა. მომსახურებას გაუწევს ნინოწმინდის ქუჩის № 1-დან 37-დე, ქასპის ქ. 1-დან 41-დე, გაღდანის ქ. 1-დან 12-მდე, ახმეტის ქ. 1-დან 22-მდე, ჩიგირის შესახვ.—1-დან 19-დე, თელავის ქ. 1-დან 8-დე, სალიანის შესახვევს 1-დან 31-დე ყველა ახლო მდებარე შესახვევებით.

პუნქტი № 30—კაბეჭროკ

საბჭოთა კავშირში

ინჟენერ-ტექნიკოსთა ახალი კადრები

მოსკოვი, 11 ივლისი. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სასწავლებლები მიმდინარე წელს გამოუშვებენ 6.432 ინჟენერს და 21.232 ტექნიკოსს. ახალგაზრდა ინჟენერები და ტექნიკოსები უშუალოდ საწარმოებში გაივლიან დამალი ტექპერსონალის თანამდებობაზე (ხელოსნების თანაშემწეები, ბრიგადირები, ათისთავები, უფროსი მუშები და სხვ.). ამასთან ერთად ისინი გამოყენებული იქნებიან ისეთ თანამდებობებზე, რომელთათვის საჭიროა ტექნიკური მომზადება: მემანქანეებად და მათ თანაშემწეებად ჰიდრო-ტურბინების და სხვა რთული მანქანებისა და აგრეგატების და აგრეთვე ქიმიურ და ნავთის მრეწველობაში აპარატურაზე სამუშაოდ. აკრძალულია ახალგაზრდა სპეციალისტების გამოყენება გაერთიანებების, ტრესტების და ქარხნების სამმართველო აპარატებში და აგრეთვე საწყაღებლებისა და სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტების ასპირანტურაში (ადს).

გამოვიდა ჟურნალ „არქტიკა“-ს პირველი ნომერი

ლენინგრადი, 11 აგვისტო. გამოვიდა ჟურნალ „არქტიკა“-ს პირველი ნომერი. ჟურნალი გამოდის არქტიკული ინსტიტუტის გამოკვლევით. სახსრების უქონლობის გამო ბერლინში დახურული საერთაშორისო პოლარული ჟურნალის „არქტიკა“-ს ნაცვლად პირველ ნომერში მოთავსებულია პროფესორების: **სამოილოვიჩის, ვიზეს, ობრუჩევის, ურვანცევის** სტატიები და აგრეთვე ლონდონში სკოტის სახელობის პოლარული საგამოკვლევო ინსტიტუტის დირექტორის ინგლისელი მეცნიერის **დებენჰემის** სტატია. ყველა სტატია დაბეჭდილია რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენაზე (ადს).

საქ. პ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციაში საბჭოთა მწერლების ურილოგისათვის მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის სამდივნოს ა-წ. 11 აგვისტოს დადგენილება

აძლევს რა უდიდეს კულტურულ-პოლიტიკურ მნიშვნელობას საბჭოთა მწერლების მომავალ საკავშირო ყრილობას, რომელიც მოწვეულია მოსკოვში ა.-წ. 10 სექტემბრისათვის, და ამასთან ერთად აღნიშნავს რა ყრილობისათვის მზადების არადამაკმაყოფილებელ მსვლელობას ტფილისში, კერძოდ, ყრილობის საკითხების ირგვლივ ფართო პროლეტარული საზოგადოებრივობის მობილიზაციის ხაზით,—საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის სამდივნო ადგენს:

1. ა.-წ. აგვისტოში ჩატარდეს ტფილისის პარტაქტივის კრება საბჭოთა მწერლების აქტივის მონაწილეობით, რომელიც მიძღვნილი იქნება მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობისადმი, ამასთან ერთად ტფილისის მსხვილ საწარმოებში ჩატარდეს მუშათა კრებებზე საბჭოთა მწერლების კავშირის მოხსენებები — ყრილობის ამოცანების და საკ. კ.პ. (ბ) ც.კ-ის 1932 წ. 23 აპრილის დადგენილების რეალიზაციის მსვლელობაზე; ამ კრებებზე უზრუნველყოფილი იქნეს საუკეთესო საბჭოთა მწერლების გამოსვლა ანგარიშით თავისი შემოქმედებითი მუშაობის შესახებ.

2. წინადადება მიეცეს ალკკ-ის ტფილისის კომიტეტის ჩაატაროს ა.ლ. კომკავშირის აქტივის ფართო საქალაქო თათბირი, რომელზედაც დაისვას ლიტერატურული ფრონტის გარდაქმნაში კომკავშირის მონაწილეობისა და ყრილობის ამოცანების საკითხები.

3. წინადადება მიეცეს საქ. პროფსაბჭოს კულტმასობრივ განყოფილებას ჩაატაროს ბიბლიოთეკების მუშაკთა და მკითხველთა აქტივის საერთო - საქალაქო შეკრება საბჭოთა მწერლებთან ერთად, რომელზედაც დაისვას ყრილობის ამოცანებისა და მუშებს შორის სამხატვრო-ლიტერატურული მუშაობის ფორმების საკითხები, აგრეთვე ჩატარდეს მკითხველთა აქტივის კრებები ბიბლიოთეკებში მუშაკთა კლუბებთან და მთელი ეს მუშაობა დამთავრდეს 25 აგვისტომდე.

4. წინადადება მიეცეს ტფილისის გაზეთების რედაქციებს და ძირეული საფაბრიკო-საქარხნო პრესის მთელს ჭიპლს ფართოდ გააშუქონ ყრილობასთან დაკავშირებული საკითხები და მოსამზადებელი მუშაობის მსვლელობა.

5. წინადადება მიეცეს ტფილისის კომიტეტის კულტპროპს საბჭოთა მწერლების კავშირის ფრაქციასთან ერთად შეარჩიოს და გაანაწილოს საწარმოებში და კლუბებში მომხსენებლები და მწერლება კრებებზე მონაწილეობის მისაღებად.

6. ყრილობისათვის მოსამზადებელი მთელი მუშაობა ჩატარდეს ტფილისის კომიტეტის ბიუროს 15 ივლისის დადგენილების რეალიზაციის ნიშნით. ტფილისის მუშების ლიტერატურულ - მხატვრული მომსახურების უფრო გასაძლიერებლად, მუშათა ლიტერატურული წრეების ჭსელის გასაშლელად და განსამტკიცებლად და მუშათა წრიდან ახალი შემოქმედებითი კადრების შესარჩევად და დასაწინაურებლად.

ჭიათურა

მარგანეცის ამოღება და გარეცხვა (ტონობით) 11 აგვისტოს

	ამოღება			გარეცხვა		
	დავალება	შესრულება	%	დავალება	შესრულება	%
სულ	3.789	3812	100,6	1.990	1760	88,4
მათ შორის:						
ჭარხ.-მაღ. № 1	98	82	88,7	49	36	73,5
„ „ № 3	180	147	81,7	99	79	79,8
„ „ № 4	344	358	104,1	131	62	47,3
„ „ № 17	244	265	108,6	115	158	137,4
„ „ № 11	588	643	93,5	589	341	73,2
„ „ № 5	298	281	94,3	164	171	104,3
„ „ № 25	622	664	106,8	324	331	122,2
„ „ № 29-30	631	701	111,1	303	290	95,7
„ „ № 33	242	245	101,2	147	151	102,7
მაღარო № 36	442	426	96,6	—	—	—
ქარხანა № 27	—	—	—	69	51	73,9

ამუშავდა პარტოგრაფიული ფაბრიკა

კარტოგრაფია (ფერადი რუკებისა და თვალსაჩინო ტოპოგრაფიული გეგმების ბეჭდვა) საქართველოში და მთელ ამიერკავკასიაშიც ახალი საქმეა. ქვეყნის ტოპოგრაფიულად და გეოგრაფიულად შესწავლას და შეგროვილი მასალების გამოქვეყნებას რუკებისა და თვალსაჩინო გეგმების საჩინო ყაღრისად დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის. დღემდე ამიერ-კავკასიაში არ იყო მოგვარებული რუკებისა და გეგმების ბეჭდვის საქმე და სათანადო მასალები იგზავნებოდა ლენინგრადის კარტოგრაფიულ ფაბრიკაში გასაფორმებლად.

წელს ტფილისის გეოდეზიურ სამმართველოსთან მოეწყო ფერადი რუკების **საბეჭდი** მექანიზირებული ფაბრიკა—ტოპო-ლიტოგრაფია, რომელშიაც დადგმულია უკანასკნელი კონსტრუქციის აპარატურა. ფაბრიკა ნაწილობრივ უკვე ამუშავებულია.

ფაბრიკა, ჯერჯერობით მოთავსებულია პატარა შენობაში, სადაც შეიძლებული ხდება მთელი აპარატურის დადგმა და მუშაობის ფართოდ გაშლა. გეოდეზიურმა სამმართველომ რამოდენიმე ჯერ მიმართა ტფილისის საბჭოს რათა ამ უკანასკნელს გამოეხსნა ფაბრიკისათვის საჭირო შენობა, მაგრამ ჯერჯერობით მიმდინარეობს მოლაპარაკება ფაბრიკის ახალ შენობაში გადასვლის შესახებ.

— მანგლისის საბავშო სანატორიუმი იმუშავებს მთელი წლის განმავლობაში. ტფილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების საუკეთესო სპეციალისტები დაევალა დაეყოფილებინა შეუდგეს სანატორიუმის მომარაგების ზამთრის სეზონში საჭირო ინვენტარით.

პირველი ტფილისში

უკვე მესამე წელიწადია, რაც ტფილისში (ყოფ. „არტო“-ში) მოეწყო კულტურისა და დასვენების სამაგრო ბაღი. ბაღი ღიაა დილით, (პირველი ტფილისში), საიდანაც საღილის დებულებამდე 1000 ბავშვი. საღილის გაცემა სწარმოებს 5 ცალად.

მხოლოდ დღისით და იგი ყოველდღიურად მომსახურეობას უწევს 1000—1200 4-დან 16 წლის ასაკამდე ბავშვს.

წელს, ბაღთან გახსნილია სამავშო სასამ კერძიანი სადილი, ტკბილეულით და თუთრი პურით ღირს ერთი მანეთი.

სურათზე: სასადილოში ბავშვებს ურიგებენ სადილს.

ქრონიკა

— სასტუმრო „ორიანტი“ მთელი თავისი ინვენტარით და გვერდით მდებარე მიწის თავისუფალი ნაკვეთით, ტფილისის საბჭომ გადასცა საზოგადოება „ინტურისტს“.

— მანგლისის საბავშო სანატორიუმი იმუშავებს მთელი წლის განმავლობაში. ტფილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების საუკეთესო სპეციალისტები დაევალა დაეყოფილებინა შეუდგეს სანატორიუმის მომარაგების ზამთრის სეზონში საჭირო ინვენტარით.

— საგანგებო ტარიფი ელექტროენერგიაზე შემოღებული იქნება ტფილისში სექტემბრიდან. ტელესი ამჟამად იმუშავებს წესებს, იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში უნდა იქნეს ამონენტის მიმართ გამოყენებული საჯარიმო ტარიფი.

— მალეა ყვავილი (ფოთის ბახლობლად) შენდება დასასვენებელი სახლი, რომელიც მზად იქნება მომავალი წლისათვის. დასასვენებელ სახლს აშენებს ფოთის რაიპრომკოოპერაციის საბჭო.

ფიზკულტურა და სპორტი

გარდავქმნათ ორგანიზაციულ-სასწავლო მუშაობა

(შეჯიბრების შედეგები „დინამო“-ს გუნდებს შორის „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“)

საზოგადოება „დინამო“-ს ათი წლის თავის აღსანიშნავად 28 ივლისიდან 5 აგვისტომდე ბათომში მიმდინარეობდა ა.-კ. და საქართველოს „დინამო“-ს ფიზკულტურული კოლექტივების შეჯიბრება „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“. შეჯიბრებამ გამოაშკარავა, რომ „დინამო“-ს ზოგ სასპორტო ორგანიზაციას დღემდე არ გარდაუქმნია ორგანიზაციულ-სასწავლო და სპორტიული მუშაობა, თუმცა მათ ამისათვის ყველა პირობები ჰქონდათ.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს „დინამო“ შემდეგმა კოლექტივებმა: ბათომმა, ახალციხემ, რომელმაც გამოიყვანა 5 გაეჯასა და 3 ქალისაგან შემდგარი გუნდი. აქედან პირველ ხარისხზე გამოვიდა 4 კაცი ორის მაგიერად. მეორე ხარისხზე 2 კაცი, მესამეში-კი არცერთი. სამი ქალიდან ექიმმა შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად არ დაუშვა ერთი.

ქუთაისმა შეჯიბრებაში გამოიყვანა 13 კაცი, მაგრამ „დინამო“-ს ქუთაისის განყოფილებას ადგილობრივად არ შეუსწავლია თუ ვის გზავნიდა, მას ამ მხრით არ შეუსრულებია „საქ. საბჭოს“ მითითებები. გუნდის წევრებს არ ჰქონდათ „დინამო“-ს წვრთნები, არც წელიწადში, ჯანმრთელობის და პირადობის მოწმობები, ამის გამო 13 კაციდან 7 ჩამოსვლისთანავე უკან გაბრუნეს.

ტფილისს და ფოთს შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გამოირკვა, რომ ამ გუნდებს არა თუ ტექნიკური მომზადება, არამედ არავითარი სპორტული მომზადება არ გააჩნიათ. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ქუთაისის გუნდის შესახებ, ამ გუნდის წევრი ამხ. გორგიძე, 100 მეტრზე ცურვის დროს, რამდენიმე მანძილის გაცურვის შემდეგ ნახევრად უგონოდ მდგომარეობაში იყო. ფრთხილად ამხ. კრასკოვი (ახალციხე, 1000 მეტრზე სრიალში. ფინიშიდან 5 მეტრის მოშორებით დაეგდო.

შეჯიბრებაში გამოყვანილი გუნდების არადამაკმაყოფილებელი მომზადება სერიოზულად აყენებს ორგანიზაციულ-სასწავლო მუშაობის გადაჭრით გარდაქმნის საკითხს. ბრძოლა სპორტული ტექნიკის დაუფლებისათვის, ბრძოლა მუშაობის კარგი მაჩვენებლებისათვის,—აი რა არის ახლა მთავარი.

შეჯიბრების საერთო შედეგი ასეთია: პირველობა ეკუთვნის ბათომის გუნდმა, შეკრიბა 7.870,91 ქულა, მეორე ადგილზე გამოვიდა ახალციხის გუნდი, რომელმაც შეაგროვა 4.338.94 ქულა, მესამე ადგილი კი დაიჭირა

ფიზკულტურელი ქალები თამაშობენ ფრენ-ბურთს

ქუთაისის გუნდმა, რომლის ქულების ჯამი 2.049,78 უდრის. ინდივიდუალური პირველობა მამაკაცების პირველი ჯგუფიდან, 25 წლამდე ასაკი ამხ. იოსებიანმა (ბათომი). რომელმაც შეაგროვა 2.718,77 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა ამხ. **სლებინოვი** (ქუთაისი) შეაგროვა 2.049,78 ქულა. მამაკაცების მეორე ჯგუფიდან, 25—35 წლამდე —პირველ ადგილზე გამოვიდა ამხ. **ოგოროდნოვი** (ბათომი), რომელმაც შეაგროვა 3.929,08 ქულა. მეორე ადგილზე—ამხ. **მოროზუნი** (ბათომი), შეაგროვა 3.440.92 ქულა. მოხუცთა ჯგუფიდან პირველი ადგილი დაიჭირა ამხ. ვიშნიაკოვმა (შეაგროვა 1.223,96 ქულა). ქალთა პირველი ჯგუფიდან პირველი ადგილი დაიჭირა ამხ. **ჩერქეზოვმა** (ახალციხე), მეორე ადგილი ამხ. **მაკაროვმა** (ახალციხე).

შ. ნ.

სახ. ეტნოგრაფიული გუნდის საგასტროლო მოგზაურობა

პირველ იელისიდან საქართველოს სახელმწიფო ეტნოგრაფიული გუნდი კ. **პაჭკორიას** ხელმძღვანელობით განსათლების სახალხო კომისარიატის მიერ გაგზავნილია კონცერტების გასამართავად მომდევ რესპუბლიკებში—აზერბაიჯანში და ჩრდილოეთ კავკასიაში. გუნდმა კონცერტები ჩაატარა ბაქოში, გროზნოში, კისლოვოდსკში, პიატიგორსკში; ყელეზნოვოდსკში და ესენტუკში, აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროებზე (სოჭი, გაგრა; სოხუმ. ორეშნირე) და დასავლეთ საქართველოში.

ბაქოში გუნდმა გამართა 8 ფესტივალი, მათ შორის ერთი თურქ ქალთა კულტურის კლუბში. უფასო კონცერტები გაიმართა აგრეთვე გროზნოში. ქუთაისში (როდესაც მეოთხე უბნის მუშებისათვის), ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანაში და ქ. სოჭში. უცხოელ ტურისტებისათვის.

გუნდს ყველგან დიდის ინტერესით ხვდებოდნენ. განსაკუთრებული წარმატება ხვდა გუნდს ბაქოში. სადაც პრესა მხურვალედ გამოეხმაურა მის კონცერტებს.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

შრომა-გასწორების კოდექსში 41, 52 და 53 მუხლების შეცვლისა, 53 მუხლის შეტანისა და 49 გაუქმების შესახებ

„იძულებითი მუშაობის მომხდელ პირთა საქმეში ხელფასიდან დასაკერი თანხების ზღვრული ნორმების დაწესების შესახებ“ მიღებული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. 27 მარტის დადგენილების შესაბამისად (ოქმი, 1933 წ. მე-60 №-ი) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

შრომა-გასწორების კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 41 მუხლი (საქ. სსრ—კან. კრ. 1930 წ. მეორე №-ი, მუხ. 149 და 1932 წ. მე-2 №-ი, მუხ. 184) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„41. იძულებითი მუშაობა დაუპატიმრებლად, როგორც სოციალური დაცვის ღონის ძიება, შეიფარდება შემდეგი სამი სახით, რაც ერთმანეთისაგან განსხვავდება იმით, თუ რამდენად შეზღუდულია იძულებითი მუშაობის მომხდელი პირის პირადი თავისუფლება:

ა) იძულებითი მუშაობა იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ სამუშაო ან სამსახური, რომელი მუშაობაც, როგორც საერთო წესი, მოიხდება ამ პირთა სამუშაო ან სამსახურის ადგილას;

ბ) იძულებითი მუშაობა, რომელიც როგორც საერთო წესი, მოიხდება ამ პირთა საცხოვრებელ ადგილას.

გ) იძულებითი მუშაობა, დანიშნული ექვსზე მეტი ვადით, როდესაც განაჩენში სპეციალურად არის აღნიშნული, რომ იძულებითი მუშაობა მოხდილ უნდა იქნეს არა სამუშაო, სამსახურის ან საცხოვრებელ ადგილას, მოიხდება შრომა-გასწორების ორგანოების სპეციალურ დაწესებულებასა თუ საწარმოში“.

41 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

2. 49—მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-20 №-ი, მუხ. 184) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„52. იმ პირს, ვინც იხდის იძულებითი მუშაობის ოთხი მესამედი, სამუშაოს ან სამსახურის ან საცხოვრებელ ადგილის შეცვლის ნებართვა შეიძლება მიეცეს ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ან მისი ორგანოების მიერ, ხოლო ბოლო მესამედის მოხდის დროს—ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ან მისი ორგანოების მიერ, ამ ორგანოების მიერ დადგენილი წესით“.

3. 52 მუხლი (საქ. სსრ კრ. 1932 წ. მე-20 №-ი, მუხ. 184) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„52. იმ პირს, ვინც იხდის იძულებითი მუშაობის მეექვსედს, სამუშაოს ან სამსახურის ან საცხოვრებელ ადგილის შეცვლის ნებართვა შეიძლება მიეცეს ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ან მისი ორგანოების მიერ, ამ ორგანოების მიერ დადგენილი წესით“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარ. მოვ. აღმსრ. მ. ჭელები.

ხალხთა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე — ზ. ჭალოგლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმ. კომიტეტის მდივნის მაგიერ: — ზ. ჭარამაშვილი.

1933 წ. 27. ივლისს. ტფილისი.

კარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) ტფ. ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის კულტპროპაგანდისტების რაიკომის პარტკაბინეტში (ძერჟინსკის ქ. № 19) **14 აგვისტოს 2 საათზე იწვევს სახორგანიზაციო თათბირს** მწერალთა საკავშირო ყრილობის მზადებისადმი მიძღვნილ კონფერენციების ჩატარების საკითხზე. თათბირს უნდა დაესწრონ ამხ. დ. დემიტრაძე, ბ. ყიფიანი; რ. გვეტაძე; კ. ლორთქიფანიძე; ს. ჩიქოვანი; ბ. ჩხეიძე და კ. ბობოხიდე (მწერალთა კავშირი), ბოკუჩავა (განსახკომი), ჯიბლაძე („ახალგაზრდა კომუნისტი“), და აბრამუშის საქსოვი ფაბრიკის, „წითელ ფანტასტი“-ს სტამბის, ატეტიულების ფაბრიკის, პოლიგრაფიტრესტის ლიტოგრაფიის, პირველი და მეორე სტამბების, ავტორების, ტელესის, სახანძრო რაზმის და სასლის მუშათა პარტუჯრედების და კომკავშირის უჯრედების კულტპროპორგანიზატორები.

14 აგვისტოს დღის 2 საათზე ც. კომიტეტის კულტპროპაგანდისტებისა (ოთახი № 5) **მოწვეულია თათბირი**, რომელსაც ოფიციალურად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ნ. დონდუა (მხატვრების კავშირი), ტოროტაძე, მაილიანი (სახელგამი), პაატაშვილი (პოლიგრაფტრესტი) — ციცაგი (შრომახკომი), და ქ. ტფილისის ყველა სტამბების გამგეები.

წინადადება ეძლევა ამხ. ასრიევს (ა. კ.. სამხ: კომ:), პეროუშინს (ამიერ-კავკასიის ფედერაციული ინსტ.), მელქიშიაშვილი (ძველ მე მრეწველობის კომ. სნკ. რწმ. სამ.), რუსუდანი შვილს (ძველ მრეწველობის წომ. ამიერ კავკასიის, რწმ. სამმართველო), 14 აგვისტოს დილის 10 საათზე გამოცხადდნენ ამიერ კავკასიის სამმართო კომიტეტის სკორე. ჯანე. გაგზის მოადგილის ამხ. შტერნოძის კაბინეტში.

სახოვნება

14 და 15 აგვისტოს
წარმოდგენილი განაცხადებით აბონემენტების მასიმის უკანასკნელი დღეებია
განაცხადებით გადარჩეული აბონემენტები, რომლებიც 15 აგვისტომდე (ჩათვლით) არ იქნება გამოსყიდული, გადაეცემული იქნება გასაყიდად. 16 აგვისტოდან დაიწყება დარჩენილი აბონემენტების ინდივიდუალური გაყიდვა. სალარო ღიაა დღისით 11-დან 2 საათამდე, საღამოთი 6-დან 8 საათამდე. ნ. 254

მარჯანიშვილის სახ. თეატრი
სახელმწ. დრამა
სეზონი 1933-34 წ.
8 აგვისტოდან დაიწყო კოლექტიური განცხადებებით აბონემენტების დაკვეთა. გამოშვებულია 12 აბონემენტი 8 წარმოდგენით.
აბონემენტები მაისიმა წარმოება-დაწესებულებებზე ჩვეულებრივი წესით 40 პროც. დაკლებით.
აბონიმენტების ღირებულება გადახდილი უნდა იქნეს ექვს ნაწილად.
სალარო ღიაა 11—2-მდე და 6—8 საათამდე.
5—5 ნ. 238 დირექცია.

სახკინმრეწვის კინო-თეატრები:

ეთერი 9, 10-30	საზღვარგარეთული ფილმი კაცი. რომელიც იცინის
დამკვრელი 9, 10-30	მხ. ფილ. პროცესი ვ ვილ. შესახებ პრ. გარ.—სკკ. № 18.
ტემპი 9, 11.	სათავგადასავლო ფილმი ალიმ
კომინტერნი (დიდუბე) 9, 10-30	სახკინმრეწ. ნაწ. ტარიელ მკლავაძე პრ. გარ.—ფიზკულტურელთა აღლუმი
ოქტომბერი 7, 8-45, 10-30.	სახკინ. სურ. ვინ არის დამნაშავე პრ გარ. თეთრხღვამშენი პატაკს იძლევა
დამკვრელი 7-30, 9, 10-30.	მხატვრული ფილმი მელა პრ. გარ.—სკკ № 17.
რ. ლიუქსემბურგის 7, 8-45, 10-30	მხატვრული ფილმი ოქრო დედა
ჩაპარტაკი 7-30, 9, 10-30	იტ. ილ. კომ. ტიკინა მილიონებით პრ. გარ. ჟურ. საბჭ. საქართველო № 1.
საბავშო კინო დღის 12 და 2 საათზე	საბავშო ფილმი ოქროს თაფლი პროგრ. გარ.—პიონერი.
მეცნიერება ტ ტექნიკა 8, 9-30	ეთნოგრაფიული ფილმი აზნის ხაზზლვარზე.

საზაფხულო საზაფხულო

საქ. ჯ. ბ. (ბ) ტ. ქ.-ის გამოქცემლობა, მიიღება დაკვეთები
ამხ. სხალინის **ლენინიზმის საკითხებზე**
წიგნი ღირს 5 მანეთი, დაკვეთისას თითო წიგნზე შემოტანილი უნდა იქნას 3 მანეთი, დანარჩენი გადახდება წიგნის მიღების დროს.
რაიონიდან დაკვეთები და ფული უნდა გადმოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი, რუსთაველის პროსპ. № 34, ხელისმოწერის ბიუროს.
დამკვეთელებს წიგნი გადაეგზავნება 10 სექტემბრიდან და ამავე რიცხვიდან შეწყდება ახალი დაკვეთის მიღებაც.
საფოსტო ხარჯებს იხდის დამკვეთი. ტფილისის დამკვეთელებმა წიგნი თვითონ უნდა მოიკითხონ ხელისმოწერის ბიუროში.
დაკვეთა მიიღება
ტფილისი—რუსთაველის პროსპ. № 34, ხელისმოწერის ბიუროში და ბიუროს მიერ სათანადო მოწმობით აღჭურვილ რწმუნებულებთან.
3—3 ნ. 236

საქ. მიწსახკომის გამგეგბლობის ძველ მყოფი
საგურამოს ს.-ს. მესაქონლეობის ტექნიკუმი
ამით აცხადებს, რომ 1933/34 სასწ. წელს. პირველ კურსზე მიიღება მხოლოდ 35 მოწაფე.
მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან მუშა მოსამსახურეების, ხელოსნების და გლეხების შვილები 16 წ. ჰასაკიდან 25 წლის ჰასაკამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ 7 წლედი სკოლა. საჭიროა წარმოდგენილი იქნას საგურამოს მესაქონლეობის ტექნიკუმში: სასწავლებლის დამთავრების, დაბადების, სოციალურ წარმოშობის, პარტიულობის, ჯანმთელობის დოკუმენტები და გამოსაცდელის 3 ცალი ფოტოგრაფიული სურათი.
მიღებულ მოწაფეთათვის პირობები შემდეგია: უფასო ბინა, გათბობა, განათება, საკვები და სასწავლო ნივთები. მისაღები გამოცდები დაიწყება ა/წ. 20 აგვისტოს. მეცადინეობას ტექნიკუმი დაიწყებს 1-სექტემბრიდან.
701 ტექნიკუმის დირექცია.

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა
„სახელგამი“
აცნობებს ყველა ტიპის სკოლებს, ტექნიკუმებს, ინსტიტუტებს, ლაბორატორიებს, სამგზავნელო და სხვა ტიპის, და აგრეთვე დაინტერესებულ ორგანიზაციებს
წარმოადგინონ განაცხადები
მათთვის საჭირო რეაქტივებზე ლაბარატორიულ მოწყობილებაზე და ქიმიურ მატერიალურ ჭურჭელზე 1934 წლისათვის არა უგვიანეს 1-ლ სექტემბრისა სახელგამის საველურო განყოფილებაში (ტფილისი აღმასკომის ქ. № 7).
2—1 ნ. 250

საქ. ჯ. ბ. (ბ) ტ. ქ.-ის გამოქცემლობა
ლენინის 6 ტომეულზე, სრულ კრებულზე და კ. მარქსის კაპიტალზე
ხელისმოწერათა საუურადღებოთ ცხადდება, რომ ა-წ. 1/VIII-დან აღნიშნული გამოცემანი
გამოეყო სახელგამს და გადაეცა პარტგამომცემლობას.
ხელისმოწერა ფული და ყოველგვარი კორესპოდენცია უნდა გადმოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 34, პარტგამომცემლობის ხელისმოწერის ბიუროს
მრგვლდება ახალი ხელისმოწერთა მიღება.
5. 249 2—2

საკრძეფრინველი ჯიშის მსუბუქ „რენო“-ს
სისტემის მანქანას.
პიროგოვის ქ. № 1. 2-1 719

სრ. საკავშირო ფითელი ჯვრის და წითელი მთვარის მე-II-ე ლატარიის მე-4-ე (აშხაბადის) და მე-5-ე (ტფილისის) თანრიგების
ტირაჟი შესდგება ქალ. ტფილისში
ა-წ. 15 აგვისტოს, ტრამვაელების კლუბში (პლეხანოვის პროსპ.)
ტირაჟის დაწყისი საღამოს 5 საათზე.
სრ. საკ. წ. ჯ. და წ. მთ. აღმასკომი.
სრ. საკ. წ. ჯ. და წ. მთ. ცენტრალური კომიტეტი.

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. იღებს ავადმყოფებს დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს.
მისამართი კამოს ქ. № 72 (ყ. დიდი მთავრის ქ.) ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. 15—1.

ექიმი
დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი, მოშლილობა ხმის და მეტყველებისა „ბრონქოეზოფაგოსკოპია“ ჯოხქარძის ქ. № 9 (ყოფ. გუდოვიჩის—სოლალაკში) მიღება საღამოს 6—7 საათამდე, ტელ. 5-948. 19—

დამწუხრებული დედა მინადორა, და კოკოშა, რძალი ნინა, ძმები: დათიკო, სევერიანე, სოლომონი ძმისწული გიულით იუწყებიან, რომ 15 აგვისტოს 7 ს. დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ
სონია გათლომეს ას. გვასალიას
ხსოვნის აღსანიშნავად. 718

უახლოესი მეგობრები: ევგენია რიქამაძე, ნინო. დოლმაზაშვილი, მარგარიტა ციციშვილი, მარიამ გოცაძე აუწყებენ ახზოგადოებას ქსენია მიქელაძის ერთად-ერთი შვილის
ვალიას
უდროოდ დაკარგვას. 720

თავხარდაცემული მშობლები: კონსტანტინე, ნინა, ძმები: დავითი, ლევან, ვალერიან, ზურაბი, რძლები: მერი, თამარი ქვარიანები აუწყებიან საყვარელი
ელენე კონსტანტინეს-ას. ძვარიანის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 7 ს., ორჯონიკიძის ქ. № 37, დაკრძალვა 15 აგვისტოს 5 ს. ვერის სასაფლაოზე. 2-1 706

ივანე ვასილის-ძე მიქაშავიძე მეუღლით ანიდა გაბრიელის-ასულით შვილებით გუგული და ელოთი და დით ტასო ვასილის ასულით აუწყებია საყვარელი დის/შვილის
პატრა
თენგიზ კირილეს-ძე საყვარელიძის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 15 აგვისტოს სოფელ საქარაში. 710

დამწუხრებული მეუღლე აკაკი, შვილი მიშა, დედამთილი მინადორე, მაზლები. გრიშა, ვასო, რძალი ანიჩქა შვილებით გული ლიდა, სიძე პ. პეტრიაშვილი დავსტირით ძვირფასს
საშა გოგოშიძე-სიორაძის
უდროოდ დაკარგვას დაკრძალვა ქ. ოზურგეთში 15 აგვისტოს. 707

ბიძები: ნიკო, თედო, პავლე ცოლშვილით, სოსიკო კარდანახიშვილები, ანიკო ტარა ტაშვილისა, იუწყებიან საყვარელ
სოლომონ გიორგის-ძე კარდანახიშვილის
ტრაღიკულად დაღუპვას. 716

შვილები: ეთერი და ჯუმბერი. დედამთილი პოლია, მული ჭინტო, მაზლი ბიძდო ცოლით წულუკიძეები, დიდა ბატუა ღოღობერიძისა იუწყებიან, რომ 15 აგვისტოს, 5 ს. დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელ
ლიდა წულუკიძის
ხსოვნის აღსანიშნავად ვერის სასაფლაოზე.

დამწუხრებულნი შვილები: იასონი, გრიშა, ანიჩქა, რძლები, მარო და ანუშა სიძით ლადოთი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი დედა,
ტასო პეტრეს-ას. ლალიაშვილი
დაკრძალვა 14 აგვისტოს 4 ს. ქ. სტალინისში, ჭალისუბნის სასაფლაოზე. 700

დამწუხრებული ცოლი მარიამი, შვილებით, რძლით და სიძით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის მუდამ დაუვიწყარ
ალექსანდრე ედიშერის-ძე მჭედლიშვილის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 14 აგვისტოს 7 ს. ტუროგეევის ქ. № 1, დაკრძალვა ცალკე გამოცხადდება. 699

ღრმად დამწუხრებული ქმარი პროკოფი და მამიდა არჩევაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს
მარგალიტა არჩევაძის
უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 14 აგვისტოს, 6 ს., გამოსვენება 15 აგვისტოს, 5 ს. ყელიაბოვის ქ. № 17, კუკიის სასაფლაოზე. 703

ღრმად დამწუხრებული დედა ანნა, ძმა შოთა, დები: ნინა და ლენა თომაძეები აუწყებენ
მარგალიტა არჩევაძის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 14 აგვისტოს, 6 საათზე, გამოსვენება 15 აგვისტოს 5 ს. ყელიაბოვის ქ. №